აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

# უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

## საქმიანობის ბიულეტენი

ოქტომბერი

### თემატიკა:

- ადმინისტრაციული შენობის ადაპტირება
- კომიტეტის სხდომა
- ბიუროს სხდომა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- პეტიცია
- სხვა აქტივობები

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

# ადმინისტრაციული შენობის ადაპტირება

## უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის ადაპტირებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი გამოცხადდა

4 ოქტომბერი, 2022 წელი

სარებილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ,
**უმაღლესი საბჭო, რეგიონის მასშტაბით, პირველი სახელმწიფო უწყება იქნება, რომლის შენობაც სრულად ადაპტირდება შშმ პირებისთვის**.

შენობის ადაპტირება საკანონმდებლო ორგანოს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულებაა. გარდა ამისა, უმაღლესი საბჭოს შენობის მისაწვდომობის კონცეფცია მობილობის, მხედველობისა და სმენის შეზღუდვის მქონე პირთათვის ითვალისწინებს პანდუსების, ტაქტილური ბილიკებისა და ლიფტის მოწყობას.




გათვალისწინებულია სახურავის, ტერასების წყალსადინარი სისტემის რეაბილიტაცია-რემონტი, ფასადის შეღებვა, განათების სისტემის შეცვლა და ა.შ.



შენობა, რომელიც 1937 წელს აშენდა და ქალაქის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად იქცა თავისი ორიგინალური არქიტექტურის გამო, შეტანილია ბათუმის არქიტექტურული მემკვიდრეობის ნუსხაში როგორც მატერიალური კულტურის ძეგლი.

# გენდერული პოლიტიკა

**3 ოქტომბერი, 2022 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ფატი ხალვაში, ქედის მუნიციპალიტეტში, ,,ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/ ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, გამართულ შეხვედრას დაესწრო.

- ქედაში პროექტი პირველად ხორციელდება და სულ 9 ბიზნესიდეის დაფინანსებას ითვალისწინებს.

- გაეროს განვითარების პროგრამის“ ფარგლებში პროექტის ბიუჯეტი გაორმაგდა და ჯამში 30 000 ლარს შეადგენს.

## ფატი ხალვაში:

"პროგრამა ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება-ხელშეწყობას, მათი საქმიანობის წახალისებას, ადგილზე დასაქმების შესაძლებლობასა და მეწარმე ქალების რაოდენობის გაზრდას ითვალისწინებს, ეს კი, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს".

# მასწავლებლის საერთაშორისო დღე

**5 ოქტომბერი, 2022 წელი**

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ, მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბათუმში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე, პედაგოგებს პროფესიული დღესასწაული მიულოცა.

ღონისძიებას, მუნიციპალიტეტების რესურსცენტრების მიერ, სხვადასხვა კრიტერიუმით შერჩეული 70 მასწავლებელი დაესწრო, რომლებსაც ჯილდოები და საჩუქრები გადაეცათ.

5 ოქტომბერი, როგორც მასწავლებელთა საერთაშორისო დღე, 1994 წლიდან დაწესდა და ამჟამად მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება.

**დავით გაბაიძე:**

მასწავლებლობა - ერთ-ერთი რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობაა. მადლობას ვუხდი ყველა პედაგოგს, განსაკუთრებით ღვაწლმოსილებს, რომლებმაც ქვეყნისთვის ურთულეს დროს, ურთულეს პირობებში უერთგულეს საყვარელ საქმეს.

# ,,აჭარის აგრარული შესაძლებლობები“

**6 ოქტომბერი, 2022 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ, ბათუმში, ფორუმი სახელწოდებით - ,,აჭარის აგრარული შესაძლებლობები“ გახსნა.

აგროფორუმის მიზანი რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის გაზრდა, ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, ექსპორტის ხელშეწყობა, ახალი ბიზნესკონტაქტების დამყარება და აგრარულ სფეროში დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლებაა.

ფორუმზე ყურადღება გამახვილდა რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებსა და წარმოების გაზრდის შესაძლებლობებზე.

აქვე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი პროდუქცია.

## ბათუმში, „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის წარდგენასთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა
## 7 ოქტომბერი, 2022 წელი

სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს - „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის ინსტიტუციური ჩარჩო, ზოგადი მიმოხილვა, ძირითადი ასპექტები, სიახლეების ძირითადი არსი, გამოწვევები, საჯარო შესყიდვის ახალი პროცედურები და ინსტრუმენტები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა გააცნეს.

ღონისძიება, რომელსაც აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძე, საკანონმდებლო ორგანოს აპარატის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ - ოთარ დიასამიძემ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ - კახა დემეტრეშვილმა და USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელმა - ნატალია ბერუაშვილმა და USAID/საქართველოს კერძო სექტორის უფროსმა მრჩეველმა - დავით წიკლაურმა გახსნეს.

გაიმართა კითხვა-პასუხის სესია, რომლის მოდერატორიც USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერების კომპონენტის ხელმძღვანელი - თამარ ბუაძე იყო.

# ახალგაზრდები უმაღლეს საბჭოში

## ბათუმის პირველი საჯარო სკოლის მე-11 კლასელებს გასვლითი გაკვეთილი აჭარის უმაღლეს საბჭოში ჩაუტარდათ

**7 ოქტომბერი, 2022 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა, ბათუმის პირველი საჯარო სკოლის მე-11 კლასელებს, გასვლითი გაკვეთილი საკანონმდებლო ორგანოში ჩაუტარა.

„სახელმწიფო და სამართალი“ - ასე ეწოდება საგანს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს წევრი ამავე სკოლაში ასწავლის.

გასვლითი გაკვეთილის ფარგლებში, უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრში, მოსწავლეები საკანონმდებლო ორგანოს შენობის ისტორიას, სტრუქტურას და საქმიანობის სპეციფიკას გაეცნენ, დაათვალიერეს შენობა და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.

ახალგაზრდებმა სახელმწიფოს მოწყობაზე, ქართულ კონსტიტუციონალიზმსა და კანონშემოქმედებით საქმიანობაზე ინფორმაცია აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისაგან - დავით გაბაიძისაგან მოისმინეს, ასევე დასვეს კითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

# კომიტეტი

## ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა ბათუმის სამედიცინო ცენტრში - „ბი-ემ-სი“ გაიმართა 10 ოქტომბერი, 2022 წელი

კომიტეტის გასვლითი სხდომა ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხებს დაეთმო.

შესაბამისი პროგრამების შესახებ ინფორმაცია, კომიტეტის წევრებმა, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის - მარი ზანაქიძისგან, არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების შესახებ კი, თანამომხსენებლის, ბათუმის სამედიცინო ცენტრის კლინიკური დირექტორის - სოსო ჯახიასგან მოისმინეს.

## სამინისტროს შესაბამისი ქვეპროგრამა:

- ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფას, რეაბილიტაციას, მათი და ოჯახის წევრების ფსიქოლოგიურ დახმარებას ითვალისწინებს და ამისთვის 730 ათას 750 ლარია განსაზღვრული;

- ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა მილიონ ორმოცდათორმეტი ათას სამასი ლარით ფინანსდება;

- აჭარაში სამი საოჯახო ტიპის საცხოვრებელი ფუნქციონირებს - თითოეული 24 ბენეფიციარზეა გათვლილი;

- ბათუმის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში კი სათანადო მომსახურებით სარგებლობა 50 პირს შეუძლია.

წარმოდგენილი ინფორმაციები კომიტეტმა ცნობად მიიღო.

# სამუშაო შეხვედრა

**ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების სამუშაო შეხვედრა**
**13 ოქტომბერი, 2022 წელი**

შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობის შესწავლის თაობაზე - თემატური მოკვლევის ფარგლებში, აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების სამუშაო შეხვედრა გაიმართა.
შეხვედრაზე, თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრებმა, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროების, აჭარის მუნიციპალიტეტების, დასაქმების სააგენტოს, კერძო კლინიკების წარმომადგენლებმა, არსებულ მდგომარეობაზე, გამოწვევებსა და სამომავლოდ განსახორციელებელ ღონისძიებებზე ისაუბრეს.

## ილია ვერძაძე:

"თემატური მოკვლევის მთავარი მიზანია, გავარკვიოთ, რამდენად ადაპტირებულია საჯარო დაწესებულებები, არის თუ არა მუნიციპალიტეტებში შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი, მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისები, ითვალისწინებენ თუ არა დამსაქმებლები შშმ პირთა ინტერესებს ვაკანსიის გამოცხადებისას, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და ნებართვის გაცემის პროცესში, ხდება თუ არა შშმ პირთა საჭიროებების მოკვლევა“.

## ცოტნე ანანიძე:

„საკითხის შესწავლის დასრულების შემდეგ, შშმ პირების ჩართულობისა და გარემოზე ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდება სათანადო რეკომენდაციები, საჭიროების შემთხვევაში მომზადდება საკანონმდებლო ინიციატივები

# საერთაშორისო ურთიერთობები

ბრიუსელ, ბელგია
13-14,ოქტომბერი, 2022

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძე და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაციკაძე ბრიუსელში, ევროპის რეგიონთა ასამბლეის სხდომას დაესწრნენ.

ვიზიტის ფარგლებში, უმაღლესი საბჭოს წევრები შეხვდნენ:
- ევროპის რეგიონთა ასამბლეის მოქმედ და ყოფილ გენერალურ მდივნებს - კრისტიან სპარს და მეთიუ მორსს;
- ევროპარლამენტარ ლუკას მანდლს;
- ხარკოვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარეს ტატიანა ეგოროვა-ლუცენკოს;
- წევრი რეგიონების სხვა წარმომადგენლებს.

განხილვის ძირითადი საკითხები იყო:
- სამომავლო ურთიერთობები, პერსპექტივები, პრიორიტეტები და არსებული გლობალური გამოწვევების დაძლევის პოლიტიკა.

2022 წლის ევროპის რეგიონთა ასამბლეას, რომელიც ავსტრიის მთავრობის სამეკავშირეო ოფისის ორგანიზებით ჩატარდა, იტალიის, ავსტრიის, რუმინეთის, შვეიცარიის, ალბანეთის, შვედეთის, საქართველოს, ნორვეგიის, ნიდერლანდების და უკრაინის რეგიონების პოლიტიკური თანამდებობის პირები და სახელმწიფო მოხელეები ესწრებოდნენ.

სხდომაზე, გასული წლის საქმიანობის ანგარიში, ევროპის რეგიონთა ასამბლეის პრეზიდენტმა მაგნუს ბერნტსონმა წარადგინა. დამტკიცდა 2023 წლის სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი, წევრად მიიღეს უკრაინის 11 რეგიონი.



Assembly of European Regions

AER

2022 AER General Assembly

14 October 2022, 10:00 – 12:45

Lower Austria Liaison Office, Rue Montoyer 40, 1000 Brussels, Belgium + online :
Zoom (PLEASE REGISTER BEFORE THE EVENT)
https://us06web.zoom.us/meeting/register/3Zof-sqzMGqf_nQMbEBT5GRHyyACbMD

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10:00 | | | **Mandatory REGISTRATION for on-site participants, handing out of the voting cards** *In parallel: Information stand on AER project work (Lower Austria Liaison Office)* | | |
| 10:30 | I. | | **Opening and welcome** | | *Magnus Berntsson, President* |
| | | a. | Adoption of the Draft Agenda | A | |
| 10:40 | II. | | **Activity reports** | | |
| | | a. | Report from the Executive Board | A | *Magnus Berntsson, President* |
| | | b. | Report from the Bureau | A | *Albert Castellanos, Vice President* |
| | | c. | Report from the Secretary General • Incl. presentation on EU projects | A | *Christian Spahr, Secretary General* |
| | | d. | Report on the AER programmes | I | *Programmes' Presidents* |
| 11:10 | III. | | **Statutory matters** | | *Magnus Berntsson, President* |
| | | a. | Adoption of the minutes of the General Assembly on 28 October 2021 | A | |
| | | b. | Modification of the AER Procedures | A | |
| | | c. | Report of the Monitoring and Evaluation Group (MEG) | A | *Andrew Joy, Chair, Monitoring and Evaluation Group* |
| | | d. | Ratification of Bureau Members | A | |
| 11:25 | **COFFEE BREAK on-site In parallel, online: 2 breakout sessions • Q&A session on AER project work • AER online networking chat** | | | | |
| 11:50 | IV. | | **Membership & partners** | | *Magnus Berntsson, President* |
| | | a. | State of membership: ratification of new membership requests and withdrawals | A | |
| | | b. | Address by Andreas Kiefer, Secretary General of the Congress of Local and Regional Authorities of the Council of Europe, on cooperation between our organizations | I | |
| 12:10 | V. | | **Finances & Budget** | | *Christian Debève, Treasurer* |
| | | a. | Report of the Treasurer: 2021 accounts and future financial perspectives | I | |
| | | b. | Adoption of the 2021 accounts and | | |

# აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომა

19 ოქტომბერი, 2022 წელი

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე:

- მოისმინეს ინფორმაცია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის გასულ და მიმდინარე პერიოდში გაწეული საქმიანობის, დაგეგმილი პროექტების და ციტრუსოვანთა რთველის მოსამზადებელი სამუშაობის მიმდინარეობის შესახებ;
- დარგების მიხედვით ინფორმაციები წარმოადგინეს თანამომხსენებლებმა - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსმა ჯემალ ნაკაშიძემ და ა(ა)ი პ აგროსერვის ცენტრის დირექტორმა რაულ თავართქილაძემ;
- კომიტეტის გადაწყვეტილებით, ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყის არსებული მდგომარეობის შესახებ“, დაიწყება თემატური მოკვლევა;

- აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ სხდომაზე წარმოადგინა ინფორმაცია ,,დაცული ტერიტორიების (ქობულეთი, კინტრიში, მტირალა, მაჭახელა) მიმდებარე დასახლებებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა-განხილვის, რეკომენდაციების შემუშავების და მათი შემდგომი მოგვარების მიზნით ადგილობრივ ორგანოებთან თანამშრომლობის “ შესახებ საკომიტეტო განხილვის დაწყების თაობაზე.

- განიხილეს საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებული საქართველოს კანონის პროექტი „რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“.

- წარმოდგენილი ინფორმაციები კომიტეტის წევრებმა ცნობად მიიღეს.

**ფრიდონ ფუტკარაძე:**

„მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ტყეების ზოგადი მდგომარეობა, გამოვკვეთოთ პრობლემური - გამეჩხერებული ტერიტორიები, ასევე ტურისტული პოტენციალის მქონე ლოკაციები, გავაკეთოთ სათანადო დასკვნები და შევიმუშაოთ რეკომენდაციები“, - აღნიშნა ფრიდონ ფუტკარაძემ.

# აჭარის დელეგაციის ვიზიტი ზალცბურგში

**ზალცბურგი, ავსტრია**
**23-24 ოქტომბერი, 2022 წელი**

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე,
ზალცბურგში, ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის რიგით მე-18 სამიტზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ პრეზენტაციით წარსდგა.

სამიტის ფარგლებში, აჭარის დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს:
- ფრანც შაუსბერგერთან - ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის თავმჯდომარესთან;
- სებასტან ჰუბერტთან - ზალცბურგის პარლამენტის (ლანდტაგის) ვიცე-პრეზიდენტთან.

შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა: ევროპის რეგიონთა ურთიერთობების გაღრმავება-განვითარების საკითხებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა აღნიშნული ორგანიზაციის წევრია 2012 წლიდან.

წელს, ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე, რომელსაც წევრი ევროპის რეგიონების პოლიტიკური თანამდებობის პირები ესწრებოდნენ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, მარინე გვიანიძე, ცოტნე ანანიძე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი - ჯაბა ფუტკარაძე წარმოადგენდნენ.

# პეტიცია

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული საზაფხულო იალაღებისთვის დამატებითი სასწრაფო-სამედიცინო მანქანების შეძენისა და ზაფხულობით იალაღებზე მცხოვრები მოსახლეობის პერიოდული უფასო სამედიცინო კვლევების ჩატარების შესახებ“ პეტიციის თაობაზე**

ავტორი - ნესტან ანანიძე
რეგისტრაციის თარიღი:
25 ოქტომბერი, 2022
გამოქვეყნების თარიღი:
28 ოქტომბერი, 2022




## პეტიციის მიზანია:

აჭარის უმაღლესმა საბჭომ არსებული დოკუმენტებისა და მონაცემების გათვალისწინებით, მოიკვლიოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სამთო იალაღებზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების დამატების, ახალი, სამთო რელიეფზე მორგებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენისა და მათი სრულად დატვირთვის შესაძლებლობები.



# განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა

**27 ოქტომბერი, 2022 წელი**

**დავით ბაციკაძე:**

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის გასვლით სხდომაზე, რომელიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, თემატურ მოკვლევაზე - "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლასთან დაკავშირებით", იმსჯელეს. მოხსენება ამავე კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაციკაძემ გააკეთა.

შემდგომ ეტაპზე კომიტეტი შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას გეგმავს, რომლებიც, საბოლოოდ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაეგზავნება.

„ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ბავშვი დავაბრუნოთ ბიბლიოთეკებში, რომ საამისოდ ყველა პირობა შევქმნათ როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე იქ მომუშავე პერსონალისთვის“.

გასვლითი სხდომა, რომელსაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რესურსცენტრების წარმომადგენლები და ქალაქ ბათუმის საჯარო სკოლების დირექტორები ესწრებოდნენ, ერთგვარ შემაჯამებელ ხასიათს ატარებდა. ზეპირი მოსმენის მიზანი თემატური მოკვლევისას გამოკვეთილი გამოწვევებისა და მათი მოგვარების მექანიზმებზე დამატებითი მსჯელობა იყო.

# ბიუროს სხდომა

31 ოქტომბერი, 2022 წელი

უმაღლეს საბჭოში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა იწყება. გადაწყვეტილება კანონმდებლებმა ბიუროს სხდომაზე მიიღეს, წამყვან კომიტეტად განისაზღვრა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.

ბიურომ:
- უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტთან (09-01-08/33, 22.09.2021) დაკავშირებით, წამყვან კომიტეტს ახალი ვადა განუსაზღვრა;
- უმაღლეს საბჭოში შემოსული კიდევ ორი პეტიცია შესწავლა-განხილვის მიზნით დარგობრივ კომიტეტებს გადასცა.
- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუსლიმური საკულტო ნაგებობების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის, შესწავლის და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შესახებ“ (ავტორი: ნესტან ანანიძე) პეტიცია ადამიანის უფლებათა დაცხვის საკითხთა კომიტეტს, ხოლო „ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“ ( ავტორი: მაია ქათამაძე) პეტიცია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს გადაეცა.

## კანონის პროექტი - "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ"

კანონპროექტის მიღების მიზანია:
- საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაერთიანება, გამარტივება, სრულყოფა და პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე სხვა საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- ასევე, კანონის კონსოლიდირებული ვერსიის ხელმისაწვდომობა.
- რეგულირების სფეროს და საკანონმდებლო ტერმინების დაზუსტება.



# კომიტეტის სხდომა

31 ოქტომბერი, 2022 წელი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებები განიხილა. პროექტი, რომელიც უმაღლესი საბჭოს წევრების - დავით გაბაიძისა და ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერაა ინიცირებული, სხდომაზე მისმა ერთ-ერთმა ავტორმა წარადგინა.

**ვლადიმერ მგალობლიშვილ:**

უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულება საკანონმდებლო ორგანოს საზედამხედველო ბერკეტების გაფართოება, უფრო კონკრეტულად კი, თემატური მოკვლევის საკითხის ინსტიტუციონალიზაციაა, რასაც ამ შემთხვევაში ითვალისწინებს კიდეც რეგლამენტის პროექტი.
ცვლილების მეორე ნაწილიც ღია მმართველობის საბჭოს სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე ვალდებულებაა და მისი მიზანი, ონლაინმექანიზმების გამოყენებით, უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდაა. კერძოდ, მთავრობის შესაბამისი წევრის უმაღლეს საბჭოში წარდგენამდე - მინისტრის საათამდე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს საკანონმდებლო დონეზე ექნებათ გარანტირებული უფლება კითხვით მიმართონ მთავრობის შესაბამის წევრს.
კომიტეტმა რეგლამენტის პროექტი უმაღლესი საბჭოს სხდომისთვის მომზადებულად მიიჩნია.

## ოქტომბრის თვის სხვა აქტივობები, რომლებშიც უმაღლესი საბჭოს წევრები მონაწილეობდნენ:

- აჭარის უმაღლეს საბჭოში დონაციის მორიგი აქცია გაიმართა
- აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები და აპარატის თანამშრომლები შეუერთდნენ ვარდისფერი ოქტომბრის კვირეულს სლოგანით - "დროული დიაგნოსტიკა ჯანმრთელობის საწინდარია"
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სინდიეთში სახალხო ტრადიციული დღესასწაული „მაჭახლობა - 2022“ გაიმართა
- მორიგი ექსკურსია უმაღლეს საბჭოში - თავმჯდომარის მოადგილე ტიტე აროშიძე აჭარის ახალგაზრდული რეგიონული ცენტრის წარმომადგენლებს შეხვდა
- ირაკლი ჭეიშვილი ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 43-ე პლენარული სესიის მუშაობაში მონაწილეობდა (25-27.10.2022)
- თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებიდან 99 წელი შესრულდა. ამ დღესთან დაკავშირებით, ბათუმში, თურქეთის გენერალურმა საკონსულომ, ტრადიციული საზეიმო მიღება გამართა.
- ცოტნე ანანიძე სატელევიზიო სკოლა-სტუდია „Number One“-ის აღსაზრდელებს შეხვდა
- ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის საჯარო სკოლა 100 წლისაა.
- ლიტერატურული კონკურსი „პეგასი - 2022“ დასრულდა
- აჭარის მუნიციპალიტეტებში გრძელდება უმაღლესი საბჭოს წევრების შეხვედრები ამომრჩეველთან

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ოქტომბერი, 2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge